



Netherlands Institute for  
**Multiparty Democracy**

**პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების  
 მონაწილეობის საკითხებზე გამართული მრგვალი მაგიდა**

**თბილისი, ივნისი 29-30, 2011**

**პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური ჩართულობა**

**მრგვალი მაგიდის დასკვნები**

პარლამენტში ქალების წარმომადგენლობის მიხედვით საქართველო ეუთოს რეგიონის ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს შორისაა. ქალების არასათანდო წარმომადგენლობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას, მაშინ როცა ქალების სისტემატური ჩართულობა ხელს უწყობს პოლიტიკური ეფექტურობის გაძლიერებას და პოლიტიკური დღის წესრიგის გაფართოებას. საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაზე გავლენის მქონე ძირითად საკითხებზე მსჯელობისათვის საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა სამსახურმა (OSCE/ODIHR), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) და ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტმა (NIMD) 30 ივნისს გამართეს მრგვალი მაგიდა სადაც პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ქალების მონაწილეობის საკითხები განიხილეს; შეხვედრას ესწრებოდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, პოლიტიკოსი ქალები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორები, ექსპერტები გენდერისა და პოლიტიკის საკითხებში და ქართული მედიის წარმომადგენლები.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში ქალების მონაწილეობასთან დაკავშირებულ შემდეგ ძირითად საკითხებზე იმსჯელეს:

1. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების წარმომადგენლობის სიმცირე
2. საარჩევნო სისტემების და ინსტიტუტების გავლენა ქალების მონაწილეობის დონეზე
3. პოლიტიკური პარტიების გავლენა ქალების პოლიტიკურ მონაწილეობაზე

4. სტრატეგიები, რომლებიც შეიძლება განახორციელონ პოლიტიკურმა პარტიებმა, პარტიის შიდა დემოკრატიის და ქალების მონაწილეობის გაძლიერებისათვის. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა განსაზღვრეს საქართველოში ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის წინაშე არსებული რიგი პრობლემები, ასევე მათი მოგვარების გზები.<sup>1</sup>

მონაწილეებმა წარმოადგინეს შემდეგი დასკვნები, როგორც ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მექანიზმი:

### საკანონმდებლო ჩარჩო

1. სხვადასხვა სახის მიმართულებებში ქალების ჩართულობის აქტივობა საკმაოდ დაბალია. ქალების წარმომადგენლობა სამთავრობო სტრუქტურებში (საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლება) უნდა გაიზარდოს არსებულ დონესთან შედარებით. ამასთან, დღის წესრიგში ყველა დონის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში ქალების მიერ წამყვანი პოზიციების დაკავების საკითხი უნდა დადგეს.
2. საკანონმდებლო რეგულაციები თავის ბუნებით დეკლარაციულია. კანონმდებლობა ნეიტრალურია გენდერული საკითხების მიმართ, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს არაპირდაპირი გენდერული დისკრიმინაციისთვის. შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს სამუშაო ადგილზე ქალების დამცველ დებულებებს და არც დედათა უფლებებია დაცული. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა კანონმდებლობით უნდა იყოს განსაზღვრული.
3. ამ ეტაპზე კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დროებით სპეციალურ ზომებს, როგორცაა გენდერული კვოტები. მიუხედავად ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევისა, კვოტები შემოღებული არ არის. საკანონმდებლო გენდერული კვოტის არ არსებობის შემთხვევაში, სასურველია პარტიებმა ნებაყოფილობით დაადგინონ კვოტები. ნებაყოფილობითი კვოტა შესაძლოა წარმატებული იყოს, თუ დიდი და გავლენიანი პარტიები ამ ინიციატივაზე შეთანხმდებიან. ამ ეტაპზე პარტიებში არ არის ნებაყოფილობითი კვოტები, რაც უზრუნველყოფდა ქალების წარმომადგენლობას პარტიულ სიებში.
4. ქალების წარმომადგენლობაზე ასევე გავლენას ახდენს საარჩევნო სისტემები. არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა განსაკუთრებით ეფექტურია ქალების წარმომადგენლობის გაზრდისათვის, რადგან

<sup>1</sup> ამ დასკვნებს არ აქვს ოფიციალური სტატუსი, მათი მიღება არ მომხდარა კონსენსუსის საფუძველზე. მათი შეტანა ამ ანგარიშში არ გამოხატავს ორგანიზატორების, მათ შორის: OSCE/ODIHR, აშშს მთავრობის, USAID, IFES ან NIMD-ის შეხედულებას ან პოლიტიკას.

სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლობით დაბალანსებული კანდიდატთა სია საარჩევნო სტიმულირების კარგი მექანიზმია.

### **ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ პარტიებში**

5. ქალების ინტერესი და მოტივაცია აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკაში ძალიან დაბალია. ამის მიზეზად შესაძლოა დასახელდეს სოციალური პირობები, პოლიტიკური გარემო, პატრიარქალური საზოგადოება, პოლიტიკური ზეწოლა, განსაკუთრებით ოპოზიციის კანდიდატების მიმართ. ამ უკანასკნელი პრობლემის მოგვარება საკმაოდ რთულია ქალებისათვის, რადგან ოპოზიციის კანდიდატებს ემინიათ სამსახურის დაკარგვის როგორც კერძო ისე სახელმწიფო სექტორში.
6. პოლიტიკური პარტიების ლიდერებს არ აქვთ სათანადო ცოდნა მათი პარტიების წევრი ქალების რესურსების, შესაძლებლობების და პოტენციალის ისევე როგორც ამომრჩეველი ქალების რაოდენობის შესახებ. პოლიტიკური პარტიებისათვის სასარგებლოა კარგად იცნობდნენ მათ ელექტორატს, იცოდნენ საიდან მოდის მათი მხარდაჭერა, მათ შორის ქალი ამომრჩევლების მხარდაჭერა; ჰქონდეთ ინფორმაცია პარტიის წევრი ქალების რაოდენობის შესახებ, გადაწყვეტილების მიმღები ქალების რაოდენობის შესახებ და ქალების რაოდენობის შესახებ ადგილობრივ პარტიულ დონეებზე.

### **შიდა პარტიული დემოკრატია და ქალების პოლიტიკური მონაწილეობა**

7. პოლიტიკურ პარტიებში შიდა დემოკრატის დონე ზოგადად დაბალია. პარტიებმა უნდა მიიღონ შიდა რეგულაციები, რომლებიც გაზრდის ქალების წარმომადგენლობას და ხელს შეუწყობს მათ წინსვლას პარტიის შიდა სტრუქტურებში და პარტიის პოლიტიკური აქტივობების განხორციელებისას. აღნიშნულის მიღწევა ნაწილობრივ შესაძლებელია გასაგები და გამჭვირვალე ინსტრუქციების შემუშავებით პარტიაში წევრების მიღების, პარტიის კანდიდატების შერჩევის და წევრებსა და კანდიდატებს შორის პარტიის რესურსების განაწილების შესახებ. ეს ინსტრუქციები შესაძლოა შეიცავდეს პირობებს ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის, მიიღონ მონაწილეობა პარტიის ყველა აქტივობასა და პროცესში, მათ შორის: კანდიდატების შერჩევა, მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, როგორცაა: წარდგენის/შერჩევის საბჭოები და ჰქონდეთ თანაბარი ხელმისაწვდომობა პარტიის რესურსებზე. მნიშვნელოვანია, რომ ქალები და მამაკაცები თანაბრად იყვნენ ჩართულნი პარტიის ყველა პროცესში, მათ შორის დაგეგმვასა და დაფინანსების პროცესში.

8. პარტიის მართვის შიდა პოლიტიკა, პროცედურები და გადაწყვეტილებები რესურსების განაწილების შესახებ ძლიერ გავლენას ახდენს ქალების მონაწილეობაზე როგორც სახელმწიფო სამსახურში მოხვედრის კანდიდატების, ისე პარტიაში გადაწყვეტილების მიმღებების სახით. ეს ურთიერთკავშირი შესწავლილი უნდა იქნას, ხოლო განსხვავება ქალებისა და კაცებისათვის რესურსების გამოყოფისას აღმოფხვრილი.
9. ამასთან, პოლიტიკური პარტიებისათვის სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფის დაკავშირება ქალი კანდიდატების პროპორციასთან, შესაძლო მექანიზმია პოლიტიკური პარტიების წახალისებისათვის გაზარდონ პარტიულ სიაში კანდიდატი ქალების რიცხვი.

### **პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ცნობიერება გენდერული თანასწორობისა და ქალების პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ**

10. არ არსებობს კონსოლიდირებული, ორგანიზებული და ფართო მოძრაობა, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების ინფორმირებას და ასევე, ქალთა ინფორმირებას მათი წვლილის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 2012 და 2013 წლების არჩევნების წინ, დადგება მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ქართული საზოგადოებისათვის, რათა ააღორძინოს მოძრაობა (მაგალითად კოალიცია) ადვოკატირების კოორდინირებისა და ცნობიერების ამაღლებისათვის.
11. ამასთან, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, ხელს შეუწყობს პოლიტიკური პარტიების განვითარებას, რადგან მათ მეტი მხარდაჭერა ექნებათ საზოგადოების მხრიდან. ვინაიდან ამ ეტაპზე არ არსებობს რაიმე პარტიათაშორისი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მოახდენდა გენდერული საკითხების ლობირებას პოლიტიკურ პარტიებში და მათ შორის, პარტიის აქტიურმა წევრმა ქალებმა უნდა იფიქრონ ამგვარი გაერთიანების შექმნაზე.
12. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მმართველი პარტიის როლი, როგორც ორგანიზაციისა რომელსაც ზემოაღნიშნული საკითხების რეგულირების და განვითარების ყველაზე ეფექტური და ძლიერი მექანიზმები აქვს. ხელისუფლებაში მისი გამორჩეული პოზიციის გამო, მმართველი პარტია შეძლებს გენდერულად მგრძობიარე პარტიული რეგულაციების ჩამოყალიბებას, რაც შესაძლოა საკანონმდებლო რეფორმით დასრულდეს.

**ქალების, როგორც პოლიტიკური პარტიის წევრების, ლიდერების და კანდიდატების,  
გადლიერების სტრატეგია**

13. არსებობს უამრავი სტრატეგია, რომლებიც შესაძლებელია დანერგონ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და პოლიტიკოსებმა, იმისათვის, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობა გაიზარდოს. მაგალითად საზოგადოებამ სავსებით შესაძლებელია გამოიყენოს "ორმაგი ზეწოლის" პოლიტიკა როგორც პოლიტიკურ პარტიებთან, ისე საზოგადოებაზე გავლენის მქონე პირებთან მიმართებაში. პოტენციური მამოძრავებელი ძალაა ქალთა სამოქალაქო ორგანიზაციები, უფლებების დამცველები გენდერის მიმართულებით, განსაკუთრებით კი "პარალელური კამპანიების" ორგანიზების და გამართვის პროცესში, რაც საგრძნობლად ზრდის და ავითარებს სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტი ქალების არსებულ ცოდნასა და რესურსებს.
14. ზემოაღნიშნული საკითხების განხილვისათვის საჭიროა ღია დიალოგი ქალ და მამაკაც მოქალაქეებს, პოლიტიკოსებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება რეგიონებს უნდა დაეთმოს.
15. მნიშვნელოვანია მედიის როლი ქალების ჩართულობის ხელშეწყობის საქმეში. სპეციალური ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ ჟურნალისტებს, ისევე როგორც სამთავრობო, არასამთავრობო და საზოგადოებრივი სექტორის ლიდერებს.